№ 100. 15 მაისი, პარასკევი. 1866—1881 15 მაისი, პარასკევი. № 100.

რედაქცია

გალავნის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „იბერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაში“-„იბერიის“ აგენტთან ი. ჭელიძესთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„იბერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „იბერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „იბერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებურ ასოთ მოკრძალებით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებურ ასოთ ასოზე შვიდი კაპ.

ბიბ-ლიოთეკა

თუ ხაჭირდება მოითხოვეს, რედაქციაში გასწორდებენ და შეამოკლებენ დახბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქციაში ფოსტით კერ დაუბრუნებენ ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“-„იბერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დაჯდ 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

ძმათა კ. და ს. პოპოვებისა

მოსკოვში

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, ბოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწოდილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (6—4)

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

დირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. იღია ჭყონიასთან (სიღაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისში ისყიდება: შაევრდოვის ბაზეთის სააგენტოში, აზნაურიოვის თამბაქოს მაღაზიაში, ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ირუთინოვის მაღაზიაში (ძუკის ხიდს გალმა, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ), შუა ბაზრის თავში (ჯანჯულაზოვის სახლებში კანდიტერის მაღაზიაში) და თვითონ რედაქციაში (პროსპეკტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ეაგონებში კანდუქტორებთან.

ტელეგრამები

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 13 მაისს. „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ ღენ. შეტრე რერბერგი დანიშნა კასპიის იქითა-მხრის მაზრის უფროსად და აგრეთვე იქაურ ჯარების უფროსადაც.

გაზეთი „ბოლოსი“ დარწმუნებით ამბობს, ტუილერიოთ უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, გითომც ბოლიტიკური დამნაშავე ქალი ბესსი გელფმან აწვალესო, მუცელი გაუცუდა და ამ მიზეზით მოკვდაო.

ჩერნოგორიის ელჩები დღეს ჩერნოგორიაში ბრუნდებიან ხელმწიფეიმპერატორმა ჩერნოგორიის ელჩს ბოჟიდარ პეტროვიჩს თეთრი არწივის ორდენი უბოძა, პეტრე ვუკოტიჩს წმ. ანნას ორდენი პირველის ხარისხისა და დანარჩენ წევრებს სხვადა-სხვა რუსული ორდენები.

გრაფი ლორის მელიქოვი გუშინ სამზღვარ გარეთ წავიდა.

ლონდონი, 12 მაისს. უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა გრენვილმა ლორდების პალატაში გამოაცხადა, რომ ოსმალეთმა და საბერძნეთმა ერთმანერთში მორიგების პირობას ხელი მოაწერესო.

ხუცურმა რა დააშავა

ტფილისი, 14 მაისს.

არც ერთი ეკლესია არ მისდევს ძველ ტრადიციებს ისე, როგორც ჩვენი. წიაღ საუკუნეთა, ქართული ეკლესიის წარმომადგენელნი სულ იმის ცდაში იყვნენ, ჩვენ ეკლესიას არც ერთი ძველი ჩვეულება არ დაჰკარგოდა, ჩვენ საღმრთო წიგნებში არც ერთი ასო, არც ერთი წერტილი არ შეცვლილიყო...

ამ გვარი კრძალვის წყალობით, ჩვენს ეეკლესიას ისე წმიდათ შეუნახავს თავი, რომ ამდენი საუკუნეების განმავლობაში არც მწვალებლები გამოსჩენია და არც რასკოლნიკები. ძველ ტრადიციებზე ისე მაგრათ დამყარდა ჩვენი ეკლესია, რომ „ბჭეთა ჯოჯოხეთისათა“ ვერა უყვეს-რა მას დღემდის.

მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ძველი ტრადიციების პატივის-ცემამ ცოტა არ იყოს იკლო. ჯერ დაიკარგა გალობა, მერე იმას მოჰყვა კითხვა —ის მშვენიერი ქართული კითხვა, რომელიც ტარასის დროს ხალხით ავსებდა ეკლესიას; ეკლესიის მხატვრობამ სახე იცვალა, ხატები კათოლიკურათ მოირთო და სხვ.

ამ დღეებში ამ დავიწყებული ტრადიციების რიცხვს კიდევ ერთი რამ შეჰმატა...

საღმრთო წერილის თარგმნიდამ დღემდის ეს წიგნები იწერებოდენ და ბოლოს დროს იბეჭდებოდენ ხუცურის ასოებით. ეხლა საქართველო-იმერეთის სინოდის ანტოლოგიას უნებებია ეს წიგნები დაბეჭდილ-იქნენ მხედრულის ასოებით და ამ ახლო ხანში ის აპირებს მთელი დაბადების დაბეჭდვას მხედრულათ.

ჩვენ იმდენათ გვეუცხოვა ეს ამბავი, რომ პირველად არც კი გვჯეროდა. ეკკლესიაში სახმარი საღმრთო წერილის ხუცურათ წერას ისე შესჩეოვია ხალხის თვალი, გონება, გული, ისე შეწყობია საღმრთო პატივისცემა და რელიგიური გრძნობა, რომ ძველებურათ მორწმუნე კაცისთვის მხედრული ასოების საკურთხეველში შესვლა ისეთი უწესოება არის, როგორიც იქნებოდა მხედარის თოფიარაღის ტრაპეზზე დაწყობა. სხვა სარწმუნოებაში და სხვა ხალხებში საკუთარი საღმრთო ენა იყო; ჩვენში საკუთარი საღმრთო ასო იყო.

ხუცური ძველათ-ძველი ჩვენი მწერლობის ასო არის: უძველესი წარწერა, უძველეს წერითი ძეგლი ქართულ ენაზე არის ხუცური. ყველა, ვისაც კი უნდა ქართული მწერლობის პირველი დრო გამოიძიოს, ჩვენი ასოების გენეზისა გამოიკვლიოს, ვალდებულია იცოდეს ხუცური და თუ ეს ხუცური არც სკოლაში იქნება, არც ეკკლესიაში, არც მონასტერში, როგორ უნდა მოხდეს ეს გამოკვლევა?

ან რა საჭიროება მოითხოვდა ამ გვარი მოქმედებისა? შეიძლება თქვან: მხედრულათ უფრო ბევრნი წაიკითხვენ საღმრთო წერილს; ხუცური იმდენმა არ იცის, რამდენმა მხედრული და, მაშა სადამე, უფრო დიდი სარგებლობა იქნება მხედრულათ დაბეჭდილი წიგნისაგან, ვინემ ხუცურის წიგნისაგანო. შეიძლება ამ მოსაზრებით მოხდა ეს ახალი რეფორმაც, მაგრამ ამ საჭიროებისათვის განა ეხლაც არ არის მხედრულათ დაბეჭდილი სამოციქულო, სახარება, დავითნი დ სხვ?. განა შემდეგშიაც არ შეიძლებოდა ამ გვარი წიგნების ბეჭდვა? განა რუსეთში, რაც უფრო ბევრი ხალხია და უფრო უმეტესი რეფორმატორები, ვინემ ჩვენში, ეს რომ საჭირო ყოფილიყო და სასარგებლო, უფრო ადრე არ მოსპობდენ საეკკლესიო ასოებს, ვინემ ჩვენში განიზრახეს ჩვენმა რეფორმატორებმა?

ლელო.

ჭუთაისის ბანკის ქრება

სხდომა მეშვიდე, 6 მაისს.

12 საათის 40 წამზე კრების თავსმჯდომარემ სხდომა გახსნა.

მეკენჭეთა რიჯხვი დღეს 752 არის; უმრავლესობას ორ-ორი კენჭი აქვს.

საკმაო სიჩუმეა კრებაში

დღეს უნდა შეიცვალოს ჩვიდმეტი §§-ბი ბანკის წესდებისა. კომიტეტის წევრი ნ. ყიფიანი ჰკითხულობს ძველს პარაგრაფებს და მათს ახალს რედაქციასაცა. ეს პარაგრაფები არიან: მე-7, 8, 9, 17, 20, 21, 22, 24, 29, 30, 31, 32, 35, 39, 52, 79, და მე-86.

ამ პარაგრაფების შეცვლით, როგორც გამოაცხადა ბანკის გამგეობის თავს-მჯდომარემაც, არავითარი მეტნაკლებათ ძირითადი ცვლილება წესდებაში არ ხდებაო, ეს პარაგრაფები რუსეთის ყველა ბანკებში უკვე შეცვლილნი ირიანო ისე, როგორც დღეს ჩვენი ბანკის კრების წინაშე წარმოდგენილს პროგრამაშია. მაშასადამე ზემოხსენებული ცვლილება მხოლოდ მიბაძვაა რუსეთის ბანკებისადმი. არავითარი ბაასი, ცოტაც არი საინტერესო, ამ ცვლილებათა არ გამოუწეევია: ჯერ წაკითხვა არ ჰქონდა გათავებული ნ. ყიფიანს, რომ მთელი დარბაზი ღრიალებდა „და-ა-ა-მტკიცდეს!“ ერთიოდე საათის განმავლობაში ყველა ჩვიდმეტი პარაგრაფები წაკითხულიც იქმნა, მოსმენილიც და შეცვლილიც!

ამის შემდეგ, იმავ ბ-ნ ნ. ყიფიანმა წამოაყენა ზედამხედველის კომიტეტის უმრავლესობისაგან მიღებული პროექტი შესახებ სარგებლის მიცემისა ბანკის გამგეობის და დამფასებელ კომისიის წევრთათვის. ამ უმრავლესობის აზრით, ეს %%-ები ზემოხსენებულ პირთ სრულიად უნდა მოსპობოდათ. ამ საგნის თაობაზე ნ. ყიფიანმა წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი: ჩვენი ბანკისთანა ბანკი, თფილისის თავად-აზნაურთა ბანკის გარდა, მთელს რუსეთში მხოლოდ ორია: ნიჟნი-ნოვგოროდისა და პეტერბურღის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა (ბანკისა). არც ნიჟნი-ნოვგოროდის და არც პეტერბურღის საურთიერთო კრედიტის ბანკის გამგეობათა და დამფასებელ კომისიათა

წევრებს არ ეძლევათ ბანკის მოგებიდამ სარგებელი. სარგებელი ეძლევათ მხოლოდ სააქციონერო ბანკებში, ესე იგი, იმისთანაებში, სადაც წმინდა მოგებას ურთი-ერთს შორის ინაწილებენ ხოლმე წევრები. ჩვენს ბანკში კი დამფუძნებლებმა ხელი აიღეს მოგებიდამ სარგებლის მიღებაზედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სარგებელი მოხმარებოდა საზოგადო საჭიროებათა, და მათ შორის უფრო სკოლებსა. თუ კი ყველა დამფუძნებლები ამ განზრახვით არ ნდომულობენ %% მიღებას, განა ბამგეობისა და დამფასებელი კომმისიის წევრნი იგივე დამფუძნებელნი და საზოგადოების წევრნი არ არიან? ჩვენის აზრით, ურიგოა ბამგეობის და დამფასებელ კომმისიის წევრთათვის %% ძლევა მაშინ, როდესაც აუარებელი უმრავლესობა საზოგადოების წევრთ-დამფუძნებელთა მოკლებულია ამ უპირატესობას საზოგადო საჭიროებათა ინტერესისათვის. ამიტომაც ჩვენ, ესე იგი ზედამხედველი კომიტეტის უმრავლესობა, გთხოვთ საზოგადო კრებას, რომ ეს სარგებელი მოეხსნას ბამგეობისა და დამფ. კომმისიის წევრთ. (ბრავო ტაში და „არა!“).

ჯერ. ლორთქიფანიძეს წინადადება შემოაქვს, რომ თუ ვინიცობაა წესდების § 94 შეიცვალა თანახმად ზედამხედველ კომიტეტის უმრავლესობის მოხსენებისა, მაშინ იმ %%-ლის დანიშნულება მიეცეს, რომ ჩვენი მამულების გამიჯვნას მოხმარდესო.

ხმები საზოგადოებიდამ:—თქვენ რომ სარგებლებს ამბობთ, მისი გამიჯნისათვის მოხმარება ზღვაში წვეთი წყლის ჩასხმას ემგვანება. — ბამიჯნის დაჩქარებისათვის ასი-ათასობით მან. საჭიროა და არა ასობით, როგორც თქვენ ჰგონებთ...

კირილე ლორთქიფანიძე. მე აქ საზოგადო კრებას უნდა მოვახსენო ერთი § შეცვლა, თუმცა ეს ჩემი წინადადება არ ყოფილა განსახილველ საგანთა სიაში, მაგრამ რადგანაც თვით ეს სია არ ყოფილა სახალხოდ გამოცხადებული, ამიტომაც...

თავსმჯდომარე აჩერებს ლ—ძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი თვით მას აწყვეტინებს სიტყვას და უკვე აყაყანებულს კრებას ხმა-მაღლა გასძახის: ბანკის დამფუძნებელთ საზოგადო კრებაში მიეცეს ხმის უფლება ყველა დამფუძნებლებს, მიუხედველად იმისა, ვის რამდენი გადაუდვია ბანკის დასაარსებლად: თუმანი თუ ოცი მანეთი, ოცი თუ ოც-და-ხუთი (ეხლა კი 200 მან. უნდა ჰქონდეს დამფუძნებელს ბანკის დასაფუძნებლად წინედ გადადებული, რომ ხმის უფლება ჰქონდეს)... ორებამ ერთს ყურში შეუშვა და მეორედამ გაფრინა ეს წინადადება...

ახალი ამბები.

—

მოგვყავს ტელეგრამმა, რომელიც, ჩვენი ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებით, ქალაქის თავმა ბ. მატინოვმა გაუგზავნა გრაფ ლორის-მელიქოვს სამსახურიდამ გამოსვლის გამო:

მისს ბრწყინვალებას გრაფ მისეულ ტარიელის-ძეს ლორის-მელიქოვს!

ბედნიერებად მიმაჩნია თქვენს ბრწყინვალებას ვაცნობო, რომ თფილისის ქალაქის რჩევამ, 11 მაისის სხდომაზედ, ერთ-ხმად გარდაწყვიტა გამოგიცხადოთ თავის უღრმესი მწუხარება იმაზედ, რომ ავათმყოფობა გიშლით თქვენ განაგრძოთ მთელის რუსეთისათვის სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობა.

ქალაქის თავი მატინოვი.

* * *

ბაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობები კალიის შესახებ:

სიღნაღის მაზრაში რამდენსამე ალაგას მდ. ივრის მარჯვენა მხარეზე გამოჩენილა კალია და უფრო ბევრი კი ელდარის მინდორზე. ხალხი გაყვანილია, გაცხარებით მუშაობენო და თუ სხვა ადგილებიდამ არ შემოვიდა კალია, რაც აქ არის, იმას მალე გაწყვეტენ და მოსავალს არაფითარი ზარალი არ მოელისო.

ყარაიაზში თითქმის ყველგან გაუწყვეტიათ კალია და მუშებიც დაუთხოვნიათ, აგრეთვე ბანჯის მაზრაში და ამ ქალაქის ახლო-მახლო ადგილებზე.

* * *

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, ამ თვის 7-ს თფილისიდამ ოლთას წასულა რუს-ოსმალოს კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს რუსეთსა და ოსმალეთს შუა ახალი სამზღვრების გაყვანა. კომისიას შეადგენს რუსის ღენერალი სტებნიცკი, ოსმალოს პოლკოვნიკი შევაბ-ბეი და რამდენიმე წევრნი ორივე მხრით.

ამ კომისიამ ქვის მიჯნები უნდა დადგას ყველგან მდ. ჭოროხიდამ დაწყებული სოფ. ყარაურგანამდინ, სადაც შარშან სამზღვრებზე დროებითი უბრალო ნიშნები იყო დარჭობილი. ამ ნაირად ამ კომისიის საშუალებით სისრულეში იქნება მოყვანილი ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილება შესახებ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მცირე აზიის საზღვრებისა.

* * *

მომავალის წლიდამ „კავკასიის კალენდრის“ შედგენა მთავარ სამმართველომ მიანდო სტატისტიკურ კომიტეტის გამგებელს ბ-ნ ზეიდლიცს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი ზეიდლიცი უკეთ წაიყვანს ამ კალენდრის გამოცემას და უფრო ნამდვილ ა საჭირო ცნობებს დაბეჭდავს ამ კალენდარში კავკასიის მხრის შესახებ, ვინემ იმის წინა-მოადგილეთ მიჰყავდათ.

* * *

ზოგიერთს რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია, ვითომც კავკასიის უმაღლეს მთავრობამ შუაგულ რუსეთის გუბერნიებიდამ გამოიხმო 11,000 რუსის გლეხის ოჯახი ყარსისა და ბათუმის მაზრების თავისუფალ ადგილებზე დასასახლებელად, აგრეთვე სოხუმის მაზრაშიაც. ამბობენ, ამ გადმოსასახლებელ ხალხს მთავრობა ერთის წლის ვადით გაანთავისუფლებს ყოველ გვარ გარდასახადისაგან და, ამას გარდა, ამ თავითვე ცოტაოდენ შემწეობასაც მისცემსო.

ძნელად დასაჯერებელია ეს ამბავი....

* * *

ამბობენ, რომ წელს ჩვენს მადნის წყლებზე, განსაკუთრებით აბასთუმანში სამინელი სიძვირეა სახლებისაო. ორ-სამ ოთახიან სადგომში ორმოცდა-ათს, სამოც თუმანს თხოულობენო პატრონებიო. ბორჯომში კი წელს სახლები ჩვეულებრივზე უფრო იაფად არისო.

—

ტაქცია

საკვლევად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ოცის დღის განმავლობაში, 11 მაისიდამ 1 ივნისამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	— 1 გირვ.	5½
მეორის „	— 1 გირ.	4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	— 1 გირვ.	6 კ.
მეორის „	— 1 გირ.	4½

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის.	ლავაში 1 ვირ.	7
მეორის „	„ 1 გირ.	5½
მესამის „	„ 1 გირ.	5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	— 1 გირ.	10 კ.
მეორის „	— 1 გირ.	8
სუკი	— 1 გირ.	16
ცხვრის ხორცი	1 გირ.	12

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	— 1 გირ.	14
მეორის „	— 1 გირ.	12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

„დროების“ კორესპონდენციები

I

ბორი, 10 მაისს. ქ. ბორიდამ ოცვერსზე, აღმოსავლეთით არის სოფ. ხურვალეთი, რომელშიაც ამ დღეებში მე შემთხვევით მომიხდა ყოფნა. ეს სოფელი ადრე გამოჩენილია თავის ნაგვის ბორებით. მთელი სოფელი, ვინ იცის—რა დროიდამ დაწყებული, ერთს ადგილას, შუა სოფელში, ჰყრიდა ხოლმე ნაგავსა და აქედამ თათქმის მთელი მთა გაჩნდა. ბოლოს საქმე იქამდი მივიდა, რომ ამ ნაგვის ბორების წყალობით, ზოგიერთი მცხოვრებლები ისეთ ნაირად შეიწროვდნენ, რადგან ფანჯრებზე და ეზოებზე მიაწვა, რომ იძულებულნი შეიქნენ სხვა ადგილზე გადასახლებულიყვნენ, სადაც ნაგავი არ შეაწუხებდა, არ ავიწროებდა იმათ.

ძაცი იფიქრებდა, რომ ამ ნაგვის ბორების გადასაზიდავად მთელი წელიწადები არის საჭიროეო. მაგრამ ეს საქმე შეასრულა, ერთის წლის განმავლობაში, ერთმა ადგილობრივ წვრილ მემამულემ ილია ძარუმიძემ, რომელიც ხურვალეთის სანიტარად და კალიის გასაწყვეტად იყო დანიშნული მთავრობისაგან.

ამავე ძარუმიძის თაოსნობით ხურვალეთში ამ ჟამად ჩინებული შოსსეს გზა არის გაკეთებული; ადრე კი მე თითონ მინახავს, რომ კამბეჩი ჩაფლულა აქაურს ტალახებში და ცარიელის ურმითაც ძლივს ამოუთრევია მთელ სოფელსა. ძალა-დაუტანებელად, მხოლოდ სოფლის სიკეთისა და სარგებლობისათვის, ძარუმიძემ ითავა ეს საქმე, ურჩია გლეხებსა და ახლო-მახლო სოფლების ოსებს და ამათი შემწეობით გააკეთა მშვენიერი სასოფლო გზა. ამ გზაზედ ახლაც გაცხარებით მიდის მუშაობა; ზედამხედველებად, თვითონ ძარუმიძეს გარდა, იმისაგან დაყენებული კაცები არიან. ყველა ერთგულად და სინიდისიანად მუშაობს. სხვათა შორის, ძარუმიძეს გარდა ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს აგრეთვე ხურვალეთის მამასახლისიც ოსებ ბართანაშვილი. ამათ განზრახვა აქვთ, რომ შემოდგომაზე ამ ქუჩის ორივე მხრით დარგონ ხეები და ამას გარდა გააკეთონ ფანრები, რომლისთვისაც მუხის სვეტები უკვე დამზადებულია. ამ ფარნებისათვის პირველ სამი წლის განმავლობაში ბ-ნი ძარუმიძე მუქთად ჰპირდება ნავთს.

ყველა ამ საქმეებისათვის დიდი მადლობისა და თანაგრძობის ღირსია ბ. ილია ძარუმიძე, რომელიც სრულიად უანგაროდ მოქმედებს და იღვწის საზოგადო სარგებლობისათვის; ამ გვარ მოქმედებისათვის ის არავისაგან არც ჩინებსა, არც ფულით დაჯილდოებას და არც ორდენებს მოელის; მოელის მხოლოთ საზოგადო მადლობას და, მართალი უნდა ვსთქვათ, ღირსიც არის ამ მადლობისა.

მე მითხრეს, რომ რადგან ზაფხულობით ხურვალეთის ხალხი ძალიან შეწუხებულია უწყლობით, ამის გამო ბ. ძარუმიძეს განზრახვა აქვსო, რომ წყაროს წყალი გამოიყვანოს შიგ სოფელშიო.

ამგვარი მოქმედება სამაგალითო მოქმედებაა და სასურველია, რომ ბ. ილია ძარუმიძის მაგალითი წაუბაძავად არ დარჩეს ჩვენი ქვეყნის სხვა მებატონეებისაგანაც.

ჯ. ი. მ—ცოვი.

II

ზემო-იმერეთი, 11 მაისს. ოცდა-ერთ მარტს ამა წლისას სოფელს სვირში ერთმა გლეხმა ლუკა ჯუღელმა თავი ჩამოიხრჩო თოკით. ამაზედ, რასაკვირველია, მეზობლები შეიძრენ, მიწერ-მოწერა გაიმართა და ბოლოს კი ვერა გამოიკვლიეს-რა, თუ რა მიზეზისათვის დაიხრჩო თავი. სოფლის მოსამართლეები და მოხელე პირები არიან ამაში დამნაშავე, მეზობლები, თუ შინაურობა—ეს ვერა აიხსნა-რა და არც არ ეინ კითხულობს.

ეპისკოპოსს სთხოვეს ამის თაობაზედ წირვა-ლოცვის ნება, მაგრამ უარი სთქვა. ექიმის მოწმობა მოიტანეთო, რომ სრულ ჭკუაზე არ იყოვო, და მაშინ წირვა-ლოცვის ნებას მოგცემთო. ექიმი არავინ მიიყვანა და ვისი ბრალია—არ ვიცი.

სოფელს სვირში 700 კომლამდინ სცხოვრებს. აქ სკოლა გაკეთდა და ყოველივე სკოლისათვის მოართულობა, რაც კი საჭირო არის.

სოფელმა განაჩენი დაადგინა, დანიშნეს ერთი მასწავლებელი. მოვიდა იგი თუ არა, მიუყვანეს 200 ბავშვი. მასწავლებელმა სთქვა, მარტო მე ვერ აუვალ ამდენ შაგირდებს, თუ მეორე მასწავლებელიც არ იქმნაო. ბაჭირდა საქმე ამ მეორე მასწავლებლის დაქირავების თაობაზედ. მერმე ინსპექტორი სახალხო სკოლებისა მოვიდა, ყრილობა მოახლინა, მაგრამ საზოგადოებამ მეორე მასწავლებელის დაჭერაზედ უარი განაცხადა. შემდეგ მოვიდა ქუთაისის მაზრის უფროსი, დაუწყო საზოგადოებას ლაპარაკი, რომ მეორე მასწავლებელიც უნდა დანიშნოთ თქვენის სკოლისათვისო. სვირის საზოგადოებამ იმასაც უარი მოახსენა. მაზრის უფროსი უკმაყოფილოთ დაბრუნდა.

შემდეგ ამისა მოვიდა თანაშემწე მისიეე ალშიბაია, რომელმანც იმისთანა მიმზიდველი და საგრძნობელი სიტყვები წარმოსთქვა, რომ საზოგადოებამ შეადგინა განჩინება და დანიშნეს ორი მასწავლებელი, გახსნეს ნორმალური სასწავლებელი. მაგრამ მასწავლებლები ჯერ კიდევ არსად მოჩანან. როგორც გავიგე, მაზრის უფროსს უბრძანებია, რადგანაც ჩემის სიტყვით არ შეადგინეს პრიგოვორი, მაგათ მასწავლებელს არ გაუგზავნისო.

მიხედეთ ღმერთს, ნუ დავრჩებით უსწავლელები! ძარგი იქნება და აუცილებელი საჭიროებაა, რომ ქუთ. სახალხო სკოლების დირექტორმა პირველ სექტემბრისათვის მაინც გამოგვიგზავნოს მასწავლებელი და დაიწყოს სწავლა.

სვირელი გლეხი.

რუსეთი

— რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია უწმინდესის სინოდის განკარგულება, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიას სამღვდელოებას ჩამოერთმევა ამორჩეეითი უფლება, ესე იგა უფლება ბლაღოჩინების არჩევისა; ეს უფლება დღეის შემდეგ მხოლოთ მღვდელ-მთავრებს ექნებათ მინიჭებული, რომელნიც მხოლოთ თავის შეხედულობითა და ნებით დანიშნავენ ხოლმე ბლაღოჩინებს.

ეს ახალი განკარგულება მოახდინა უწმინდესმა სინოდმა ობერ-პროკურორის პობედონოსცევის წინადადებით.

არც ერთი რუსული გაზეთი არ იწონებს ამ განკულებას, ამ ძველის წესის დაბრუნებას და ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ამ ცვლილებას ცუდი ზედ-მოქმედება ექნება ჩვენს სამღვდელოებაზე და საეკლესიო საქმეებზედაო.

ეს განკარგულება ჩვენს მხარეს ჯერ-ჯერობით არ შეეხება. მაგრამ, თუ რუსეთის სამღვდელოებას ჩამოართვეს ეს ამორჩეეითი უფლება, უეჭველია, ჩვენს სამღვდელობას უფრო თამამად ჩამოართმევენ...

— იმგვარივე არეულობა და ურიების ცემა-ტყეპა და ცარცვა, როგორიც მოხდა ელისავეტგრადში, ქიეევში და ბევრ სხვა ქალაქებში და სოფლებში, ოდესაშიაც დაწყებულა: გაბრაზებულ ხალხს რამდენიმე ურიების დუქანი, მაღაზია და სამიკიტნოები აუკლია და თვითონ ამ ურიებისათვის დაუწყია ცემა. მაგრამ ღენერალ-ღუბერნატორს თ. დანდუკოვ ძორსაკოვს დროზედ მიუშველებია ჯარები, ამათ გაუფანტავთ ხალხი და არეულობაც დროზე მოუსპიათ. მასაქეთ ოდესის ქუჩებში დღე-და-ღამ ჯარები დგანან ყარაულებად.

— სამხრეთ რუსეთის ყველა ქალაქები, საცა კი ურიები სცხოვრობენ და ჯერ არეულობა არ მოხდარა, ხალხი ძალიან აღელვებულია თურმე და დღე-და-დღე მოელიან, რომ აქაც ისეთივე არეულობა მოხდება, როგორც სხვა ქალაქებშიო. ამგვარს მდგომარეობაში არიან, სხვათა შორის, შემდეგი ქალაქები: ხარკოვი, ჟიტომირი, ძურსკი და სხვ. ვარშავაშიაც (პოლშაში) ვიღაცაებს კედლებზე აუკრავს დაბეჭდილი ფურცლები, რომელშიაც ეწერა, რომ ჩვენც ის საქმე უნდა ვუყოთ ჩვენებურ ურიებს, რაც სამხრეთ რუსეთის ქალაქებში უყვესო.

— არეულობის თაობაზედ იწერებიან ოდესიდამ: 4 მაისს, ნაშუადღევს, სასიკვდილოთ დასჭრეს თავში ერთი სასტუმროს პატრონი ებრაელი.

საღამოს რამდენიმე ქუჩებში, ერთ საათ ნახევრის განმავლობაში, დაამტვრიეს ორმოც-და-ხუთი ებრაელების სამიკიტნოები და რესტორანები. დილის ოთხ საათზედ გაგზავნეს ნაევებით რეიდზე სამას-შვიდი კაცი, რომელნიც დაატუსაღეს არეულობის დროს. 5 მაისს იქვე გაგზავნეს ორას ორმოც-და-ათი რუსი და ას ორმოც-და-ათი ებრაელი, რომელთაც უნახეს რევოლვერები, ხანჯლები და სხვა გვარი იარაღები. მათ რიცხვში აღმოჩნდნენ ექვსი კაცი ებრაელი—სტუდენტები. 5 მაისს ღამე და დილა მეორე დღე მშვიდობიანათ გავიდა. ყველა სამიკიტნოები და ტრახტირები დაკეტილია. სობორის მეიდანზედ, ბაზარში და ბევრ სხვა ალაგას დაყენებულია ქვეითი ჯარი, ყაზახის და ჟანდრების ცხენოსნები და იუნკრის სასწავლებლის შეგირდები. მუშების მეიდანზედ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოიპატიჟა ორასი კაცი მუშები და შეაძლია მათ დღიური ფასი ოთხი აბაზი და ექვსი აბაზი, მაგრამ უარი სთქვეს მუშაობაზედ. ნასადილევს ზოგიერთ ალაგას უწესობა კიდევ დაიწყო.“

— გაზეთი „პორიადოკი“ სწერს, რომ 5 მაისს საღამოს რვა საათზედ, ქალაქს გარეთ მიგდებულს, მყუდრე ქუჩაში, პატარა ერთ-სართულიან ხის სახლში იყოვო ყრილობა, რომელსაც ჰქონია სჯა რევოლიუციურ (ანარხიულ) პლანებზედ და ამ დროს უეცრად პოლიცია თავს დასხმია და რამდენიმე კაცი დაატუსაღა. პოლიციას წინათვე სცოდნია ამ ყრილობის დრო და ადგილი.

— პეტერბურღის ნემეცური გაზეთი *Herold*-ი ამბობს: სამზღვარ გარეთის ნემეცურ გაზეთებში სწერენ ქ. ეიდკუნენრდამ, რომ წელს ჩვეულებრივზე უფრო მომეტებული ხალხი მიდის რუსეთიდამ სამზღვარ გარეთო.

თფილისის სამკურნალო

ავთმოოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. გვერნსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავთმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნავან ავთმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავთმოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავთმყოფობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტუკვის ავთმოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირუგიული ავთმოფ.; რეისი — თვალების ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავთმოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავთმოფობისა,

ოთხშაბათს. კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავთმოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტუკვის ავთმოფობისა.

ხუთშაბათი გვერნსკი—ბებიაობისა და ქალების ავთმოფ.; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავთმოფ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელეკტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავთმოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავთმოფობის.

პარასკევს. მინკევიჩი—სირუგიულ ავთმოფობის; ბასუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და უმაწვილების ავთმოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავთმოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ. და ტუკვის ავთმოფობისა.

შაბათი. ლისიცოვი — შინაგან ავთმოფობის. რეისი—თვალების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავთმოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავთმოფობისა.

ობრუსტი — ბილის ავთმოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავთმოფოს პარათებით.

განცხადებანი

ჩარკვიანის და ამხ.

წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუსრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს ეპარქიის პირდა-პირ № 15. 5—2

ნამდვილი პირველი სორტის ხიზილალა ბოჟი ჭრომისლისა ფინოვევის და კამ. ნაეიდი რომლის წინათ ექვს აბაზათ იყიდებოდა, ასლა ოთხ აბაზათ ვეიდით შუაბაზარში, ოქრომჭედლების პირ-და-პირ ბეგლარ ქოჩოროვის დუქანში. ძეორე სორტის ხიზილალა იქვე სამ აბაზად ისყიდება. (3—1)

თფილისის ქალაქის
გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მაისის 22-ს იმის თან-დასწრებით, ქალაქის გამგეობის კანცელარიაში იქნება ვაჭრობა (ტორგი) საწონის გარდასახადს იჯარით გაცემაზედ.

ვისაც დაწერილებითი პირობების (კონდიციების) შეტყობა ეწყინოს, შეუძლიან მიმართოს უფროსის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—1)

ქუთაისში, ზერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება რუსული წიგნი

ГРУЗИНСКІЕ ЦЕРКОВНЫЕ ГУДЖАРЫ

(ქართული საეკლესიო ბუჯრები)

გამოცემული დიმ. ბ. ფურცელაძისაგან ფასი თითო წიგნისა ექვსი აბაზი.

(5—2)

დავითიანი

თხზულება

დავით გურამის-შვილისა

(ძველი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალეკანოზისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

ფასი ერთი მანეთი.

ისყიდება: თფილისში გ. ჩარკეიანის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ძუთაისს ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც სსს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოცდათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა. (5—4)

დასყიდვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარველები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევორველები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3ა მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქალალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქალალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქალალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ეინემ სხვაგან. (15—14)

ტფილისს ჩარკეიანის წიგნის მაღაზიაში და ძუთაისს **გერარდის** წიგნის მაღაზიაში ისყიდება

საშწერლო

თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბებუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩიგალი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგზაურობა ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალების (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაღებელი მაკ-ფასონი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომბა და თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასხმობლად, ტუალეტის საშონი, დუხები და სხვ.

(150—86)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რევოლვერი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაგზრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—62

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, გრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შოკოლადებისა, ცხვირ-სახოცებისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩეგინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურვებელ ბუსუსიანად კანფეტების და ბატკნების. და კაბა ქალებისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაგანის იგარები. (100—62)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—63)

გამოვიდა **„დრო არის საძმეს შეუდგეთ“** თხზულება **ქრისტეფორე მამაცაშვილისა** და **„ვაი მართალთა!“** თხზულება **ანტონ ფურცელაძისა,** რომელნიც ისყიდებიან: **თბილისს, ჩარკეიანის** წიგნის მაღაზიაში **და ბრიქუროვის** წიგნის მაღაზიაში; **ბორს** მარიამ **ქერესელიძის** წიგნის მაღაზიაში, **ძუთაისს ზერარდის** წიგნის მაღაზიაში **და თელავს ხორკლის** წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა **აბაზი,** მეორესი ექვსი შაური. (5—1)

თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „ემმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრებაში“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საბუთვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცნობებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავნოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება იგ წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27\frac{1}{2}$ წლითა და აგრეთვე 18 წლითა და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უჩვეულებრივო თანხის შესაგებლად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{8}$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში—$\frac{3}{4}$% და 18 წლითა და 7 თვით აღებულს ვალში—$1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც ჭსურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის ბლანი, თუ აქვს, გ) დაწერილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ჭსურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის ბოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი სარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს.

(10—2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სასალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი სალსური მოთხრობა და ლექსი; ასევე ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რვადენიმე ასალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ბრიქუროვის მაღაზიაში კუკიის სიდის უურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი სუთშაურათ დაეთმობათ სასალსო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს აგზემბლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემბლიარსა.

ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა; ფასი თსუთმეტი შაური. ისყიდება ვარაანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიც. ეგზემბლიარი დაეთმობა თოთსმეტ შაურათა, ვინც თხუთეტს ეგზემბლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემბლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემბლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ყდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც დედა-ენა, ისე **ბუნების კარი** მოწონებილნი არიან (**рекмендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.

(10—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Маія 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჭავჭავაძე და ს. მესხი.